პროფესიული საჯარო მოხელის
პროფესიული განვითარების პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

31/10/2024

MES 3 24 0001402131

გადაწყვეტილება

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2.1. 2024 წლის 8 აგვისტოს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №956301 და №956388) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ და ,,მოხელის მენეჯერული უნარების" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარის პროგრამებზე საკლასო მეცადინეობის სწავლების მეთოდით/ფორმით.

2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს №979545 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 22 აგვისტოს №1002587 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2024 წლის 5 და 6 სექტემბერს განახორციელა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2024 წლის 17 ოქტომბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტი	**შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან**
1. პროგრამის შინაარსი	**X**		
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	**X**		

2.3. საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 28 ოქტომბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2024 წლის 8 აგვისტოს სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №956301 და №956388) და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №1401601 სხდომის ოქმი (დანართი №3).

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯიმშელეიშვილი ხათუნა